საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030159283409320

№ 01-184/ო **01 / მაისი / 2020 წ.**

დღის ცენტრის მომსახურების, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების, ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამებისა და კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის მოდიფიცირებული მომსახურებების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

„ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის № 434 განკარგულების, ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 670 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე‘‘ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის № 218 დადგენილებისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ს‘‘ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, ,,გ‘‘ და „ო“ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დღის ცენტრის მომსახურების მოდიფიცირებული ქვეპროგრამა (დანართი №1);

ბ) დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურების მოდიფიცირებული ქვეპროგრამა (დანართი№2);

გ) დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა დღის ცენტრის მომსახურების მოდიფიცირებული ქვეპროგრამა (დანართი №3);

დ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის მოდიფიცირებული ქვეპროგრამა (დანართი №4);

ე) ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის მოდიფიცირებული ქვეპროგრამა (დანართი №5);

ვ) განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის მოდიფიცირებული ქვეპროგრამა (დანართი №6);

ზ) დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის მოდიფიცირებული ქვეპროგრამა (დანართი №7).

2. ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული ქვეპროგრამები სარეკომენდაციოა შესაბამისი წლის „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ დღის ცენტრებით უზრუნველყოფის, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების, ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამებისა და

კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში რეგისტრირებული ყველა მომსახურებისა და ამავე მომსახურების განმახორციელებელი ყველა მომსახურების მიმწოდებლისათვის (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე